ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 168 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 168

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . 6 მან.

„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . | 2 მან. | 75 კაპ. |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . | 3 „ | 50 „ |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . | 2 „ | 50 „ |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ . . . | 3 „ | — |

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**პ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არმანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.


# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების მოქმედება.—წვრილი ცნობები.—ყაზახების რაზმები.

რუსის ჯარმა დაშიცაო რომ მიატოვა, იმავე დროს ინკოუც დასცალა, და ამ რიგად მანჯურიის უკანასკნელი პორტიც ხელიდგან წაუვიდა. თუ აქამდე პორტ-არტურის ამბავი ხანდისხან მაინც მოდიოდა ეხლა ყოველი კავშირი მოისპო.

როდესაც გენერალ ოქუს ლაშქარი დაშიცაოს აწვებოდა, გენერალ ნოძუს ლაშქარმაც წინ წამოიწია ფხანლინისა და დალინის უღელტეხილებზედ სიმუჩენისკენ და, როგორც ეტყობა, ხაიჩენზედ მოდის. უეჭველია, ხაიჩენის ასაღებად ოქუსა და ნოძუს ლაშქრები შეერთდებიან და ერთად დაეცემიან. ხოლო დაუხვდება ხაიჩენში გენერალი კუროპატკინი თავის ლაშქრით, თუ ამ სიმაგრესაც მიატოვებს და ლიაოიანისაკენ დაიწევს, ჯერ არ ვიცით. გვგონია კი, რომ ხაიჩენთან არ უნდა მოხდეს ისეთი ბრძოლა, რომელიც ბედისა და უბედობის გადამწყვეტია. თუ რომ თითქმის უბრძოლველად დავუთმეთ მდინარე ლიაოხეს ხეობის შემოსავალი და ინკოუ, ხაიჩენთან გაჩერებას მნიშვნელობა აღარა აქვს. სერთოდ ბრძოლის ველზედ ბოლოს დროს დიდი ცვლილებაა. აქამომდე, ვიდრე გაიჯოუ და დაშიცაო ჩვენ ხელთ იყო, გენერალ ოქუს მეორე ლაშქარი და გენერალ ნოძუს მესამე ლაშქარი გაცალკევებულნი იყვნენ და გენერალ კუროპატკინს შეეძლო ერთ-ერთი დაემარცხებინა, რადგანაც მეორე მალე ვერ მიეშველებოდა. ეხლა კი ეს ორი ლაშქარი თითქმის შეერთდა. ორ ლაშქარში ექვსი დივიზია მაინც უნდა იყოს თავის სათადარიგო ჯარებით ე. ი. 157,000 მეომარი 488 ზარბაზნით.

ორი ლაშქარი სამხრეთიდგან მოდის, მესამე ლაშქარი კი, გენერალ კუროკის სარდლობით, როგორც ეტყობა, ლიაოიანს ასცდება და ჩრდილოეთიდგან მოუვლის. გენერალ კუროპატკინის დეპეშიდგან სჩანს, რომ იაპონელებს თავის ნაწილი ლიაოიანის უმთავრეს გზიდგან სხვაგან გადაჰყავთ: საიმაძ-ლიაოიანის და საიმაძი-მუკდენის გზებზედ. საფიქრებელია, რომ გენერალი კუროკი გაამაგრებს იმ უღელტეხილებს, რომლებიც იმის ხელთ არის (ლანხელინისა, უფანგუანისა და საოკაოლონისა), იქ დასტოვებს 30,000 კაცამდე და უმთავრეს ძალას (80—90 ათასს კაცს) მუკდენისაკენ მიჰმართავს. რასაკვირველია, გენერალი კუროპატკინიც თავის მხრივ შესაფერ ღონისძიებას მიიღებს, რომ მტერს მტკიცედ დაუხვდეს. მოსალოდნელია, რომ ომის ველზედ მალე დიდი ამბები მოხდება. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ იაპონელების ჯარის ხელმძღვანელობა თვით მთავარ-სარდალს მარშალ ოიამას უკისრნია, რომელიც დაშიცაოსთანაც სარდლობდა (რ. ვ.).

—

იაპონელების მოქმედება ამტკიცებს, რომ ისინი სცდილობენ რუსის ლაშქარს ისეთს ადგილს შეებრძოლონ, სადაც გამარჯვების იმედი აქვთ. როდესაც რუსის ჯარი უკან იწევს, ისინი მცირე რაზმებს წამოსწევენ, უმთავრეს ნაწილს კი უკან დასწევენ და ისეთ ადგილს ამოაფარებენ, რომ რუსებმა ვერ შეამჩნიონ. ამავე დროს თითონვე, ჩინელებისა და კორესპონდენტების დახმარებით და შუამავლობით, სხვა-და-სხვა ჭორებს ავრცელებენ, ვითომც იაპონელები მრავლად დახოცილან, ძალა შესუსტებიათ და იძულებულნი არიან უკან დაიწიონ, რომ ბრძოლას თავი მოარიდონ. მოწინავე რაზმები, როდესაც რუსებს შეხვდებიან, გაუბედაობას იჩენენ და მცირე შეტაკებასაც ერიდებიან. მომეტებულ ნაწილად ამ შეტაკებაში რუსებს ამარჯვებინებენ და აქეზებენ. მაგრამ ამისთანა ოსტატობა იაპონელებს აღარ გაუვიდათ, თუმცა გაიჯოუსა და დაშიცაოსთან სწორედ ესეთი ეშმაკობა იხმარეს. რუსის ლაშქარმა უკან დაიწია და მტრის გულისად არ გახდა. იქმნება დაშიცაოსთან რუსები უფრო მტკიცედ დახვედროდნენ მტერს, მაგრამ ამინდმაც ხელი შეუშალა. 15 ივნისს ისეთი წვიმა-ნიაღვარი იყო, რომ რუსის ბანაკი თითქმის წალეკა და მრავალი საინტენდანტო მასალა გაანადგურა. (იქვე.).

—

გაზეთ «სტანდარდის» სამხედრო მიმომხილველი ამბობს, რაკი 6 ივლისს იაპონელებმა სიხეანი დაიჭირეს, ეხლა იმათ ჯარის მარჯვენა ფრთას წინ აღარა დაუდგება-რა და ადვილად შეუძლიანთ ლიაოიანსა და მუკდენზე წავიდნენ. ამასთანავე იაპონელთა ჯარის შუაგული და მარჯვენა ფრთა გაერთდნენ და ამიერიდგან ერთად იმოქმედებენ. (ნ. ვ.).

—

სამხრეთიდგან იაპონელები რუსის უმთავრესს ძალას აწვებიან და ამავე დროს გენერალ კუროკის მარჯვენა მხარეც წინ მიდის. დალინის უღელტეხილი ეხლა იმათ ხელთ არის და სინ-ძინ-ტინამდე 70 ვერსი-ღა დარჩენიათ გასავლელი. იქმნება ამ მოძრაობას დემონსტრაციის ხასიათიცა ჰქონდეს, ვითომც იაპონელები რკინის გზის გადაჭრას აპირობდნენ ტელინსა და მუკდენს შუა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გზით იაპონელები წინ წამოვიდნენ, როდესაც უკან სათადარიგო ჯარები არა ჰყავთ. (რუს.).

—

ალჟირიდგან იწერებიან, გემი «მალაკა» აქ მოვიდაო. მაშინადვე რუსისა და ინგლისის კონსულები ავიდნენ ზედ და დაათვალიერეს. ინგლისის კონსულმა ოფიციალურად განაცხადა, სამხედრო მასალა ინგლისის მთავრობას ეკუთვნისო, და ამიტომ გემი მაშინადვე ინგლისის წარმომადგენელს დაუთმესო. (რ. ვ.).

—

გაზეთ «ფრანკფურტის ცეიტუნგს» ატყობინებენ სტამბოლიდგან, ინგლისის დიდი კრეისერი დარდანელსა დარაჯობს. ეტყობა, თვალყურს ადევნებს, რუსის გემები ხომ არ გამოივლიანო. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურის შესავლის დასახშობად დაღუპულ ძველ სავაჭრო გემებზე რავდენიმე იაპონელი ქრისტეანი ყოფილა და გულზე ჯვარი და ხატები ჰქონიათ. ერთ მოკლულ აფიცრის თოფის ბუდეში წერილი იპოვეს: «მე ადმირალ ტოგოს შვილი ვარ». (ნოვ. ვრ.).

—

ტოკიოდან იწერებიან, რუსებმა ყოველივე დასწვეს, ნიუ-ჩუანში რასაც კი მოასწრეს, შემდეგ ქალაქი მიატოვეს და ჩენძათაუსკენ წავიდნენ. (ტორგ.).

—

ტიანძინიდგან იუწყებიან, ნიუ-ჩუანს რომ სტოვებდნენ რუსები, გემი «სივუჩიც» გადასწვეს. (რ. ს.).

—

ბერლინიდგან იწერებიან, როდესაც რუსები ნიუ-ჩუანსა სტოვებდნენ, სადგური დაანგრიეს და გემი «სივუჩი» ააფეთქეს. ჯარმა მწყობრად დაიწია უკან. (ნ.ვ.).

—

მუკდენიდგან 14 ივლისს დეპეშა გამოუგზავნიათ, რომელიც გზაზე შეგვიანებულა, ჩინური გაზეთი «დაგუნბაო» იუწყებოდა 2 ივლისს, დალნის ახლო კიდევ მრავალი ნაღმიანი ყუმბარები დაცურავს და ამის გამო იაპონელებმა სავაჭრო გემებს აუკრძალეს იმ მიდამოებში სიარული. (რ. ვ.).

იაპონიის საელჩოს ლონდონში ოფიციალურად გამოუცხადებია ტოკიოდგან მიღებული დეპეშა, 14 ივლისის თარიღით: ჩვენი ჯარი, 12 ივლისს, მტერს დაედევნა დაშიცაოს ჩრდილოეთად. დაშიცაო და ნიუ-ძია-ტუნი იწვისო (რ. ვ.).

—

ზოგიერთი გაზეთები იუწყებოდნენ, ვითომც დატყვევებულ რუსებს მხოლოდ ინგლისურსა, ფრანგულსა და გერმანულს ენაზედ შეუძლიანთ წერილი გამოუგზავნონ თავის ნათესავებს და ვითომც საფოსტო გარდასახადი ერთი-ორად მეტი უნდა გადაიხადონო. ეს ცნობა ტყუილი ყოფილა. იაპონიის მთავრობა სრულიადაც არ ავიწროვებს ამ შემთხვევაში ტყვეებს და ყველას შეუძლიან რუსული წერილებიც გამოგზავნონ. არც განსაკუთრებული ცენზურა უნდა და არც მეტი გარდასახადი გამოერთმევათ (რუს. ინვ.).

—

ლიაოიანიდგან იწერებიან, ჩინელთა გენერალი ტულიფანი 12,000 ჯარის კაცითა და ვერცხლით დატვირთულ 72 ეტლით ტანვანს მოსულა, მდინარე ლიაოხეს მარჯვენა მხარეს და იქ ახალ ჯარს აგროვებს. მის მოქმედებას რუსები თვალყურს ადევნებენ მდინარის მეორე ნაპირიდგან.

გენერალ მაის ჩინეთის საზღვარზე ახალი ბატარეიები დაუყენებია, ვითომ და ნეიტრალიტეტის დასაცველად (ნოვ.).

—

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს არ მოსწონს ყაზახების რაზმები:

მეტად უხერხულად არის შემდგარი ეს რაზმები. სულ სხვა და სხვა ადგილებიდგან მოუგროვებიათ, სხვა და სხვა ჯარიდგან. აფიცრებიც ეგრე. აფიცრები სალდათებს არ იცნობენ, სალდათები—აფიცრებს. არ არის მათ შორის ის ერთობა და ერთმანეთის ნდობა, რომელიც გაჭირვებაშიაც გამარჯვებას ანიჭებს. სამწუხარო სანახავს წარმოადგენენ ბაიკალს იქითელი ყაზახები. მშვიდობიანობის დროს აღმზრდელებმა თვისი სული ჩაუდგეს და, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და თავისი უნარი უნდა გამოეჩინათ, მაშინ ასისთავნი შორსაო, მამასახლისები შორსაო და მათ ადგილს პეტერბურგიდგან მოიწვიეს აფიცრები. იქმნება, კარგი აფიცრებიც იყვნენ, მაგრამ იმათ სტანიცის ზნე-ჩვეულებისა არა იციან-რა, ლეიბ-გუსარებთან ანუ მხედარ-გრენადერთან საერთო არა აქვთ რა. ყაზახების რაზმები რომ სამაგალითო იყოს, ყველა უფროსიც მასთან შეზრდილ-შეხორცებული უნდა იყოს. ამისთანა უფროსს ყაზახი წყალსა და ცეცხლში წაჰყვება, სწორედ სასწაულს ჩაიდენს, მაგრამ, როდესაც უცნობ და მისთვის გაუგებარ უფროსებს უნიშნავენ, ყაზახი გაშტერებული შეჰყურებს... ამ მთის გმირებს ეგონათ, რომ თვისივე უფროსები ეყოლებოდათ, რომელთაც შეგნებული ექმნებოდათ მათი ენა და ზნე-ჩვეულება. მაგრამ ეს სურვილი არ აუსრულდათ და ნასწავლი აფიცრები მიუჩინეს, რომლებიც მთიულებს მხოლოდ «კავკაზსკი პლენნიკითა» და «ჰაჯი აბრეკით» იცნობენ.

სულ სხვა იქმნებოდა ეს რკინის ბრიგადა, თავისიანი უფროსი რომ ჰყოლოდა. რა საგმირო საქმეს შეუდრკებოდა?!

(რ. ს.).

# ტფილისი

⁂ ვინმე ბარკიმა და ხოლხოვმა წინადადება მისცეს ტფ. ქალაქის გამგეობას —ნება მოგვეცით, რომ ცხენის რკინის გზა გავიყვანოთ ნიკოლოზის მოედნიდგან (იქ, საცა საკომერციო სასწავლებელია), დაწყებული არსენალის ქუჩაზედ და კახეთის მოედნიდგან წმ. ილიას ეკლესიამ-

დეო. მთხოვნელნი პირობას აძლევენ ქალაქს, რომ კონცესია 30 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გვქონდეს და ამ ხნის განმავლობაში მთელის შემოსავლის 5 პროცენტი ქალ. აიღოსო, ხოლო 30 წლის შემდეგ ცხენის რკინის გზა ქალაქის საკუთრება იქმნებაო. ნიკოლოზის მოედნიდგან არსენალის ქუჩის თავამდე ბილეთი ეღირება 5 კაპ. და კახეთის მოედნიდგან წმ. ილიას ეკლესიამდეც—5 კაპ. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს საქმე და დაადგინა,—რადგანაც ტფილისში ქუჩებსა და მოედნებზედ ცხენის რკინის გზის გაყვანის უფლება მხოლოდ ბელგიის უსახელო საზოგადოებასა აქვს, ამიტომ სთხოვოს ხსენებულ საზოგადოებას, თანახმა იქნება ეს უკანასკნელი თუ არა ამ წინადადებაზედ; ქალაქის გამგეობა ამასთანავე დასძენს, რომ, რაც შეიძლება, მალე შეატყობინოს პასუხი.

*** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო თავ. გ. მ. შერვაშიძესა, ა. პ. ლებედინსკისა, თავ. კ. დ. ერისთავსა და ორჯონიკიძეს, გაჰმართონ ავტომობილით მოძრაობა ქალ. ქუთაისიდგან სოფ. ხონამდე და სადგ. ნატანებიდგან ქ. ოზურგეთამდე, ხოლო ქუთაისის მცხოვრებს ი. კაკაბაძესა და ვაჭარს ს. რუსაძეს—ქალ. ქუთაისსა და სოფ. ხონს შუა.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა შეადგინა საფილოქსერო დასი, რომელიც დღეს, 21 ივლისს, მუხრანის საუფლისწულო მამულში მიდის, საჭირო საშუალებათა მისაღებად იქ, როგორც ვიცით, ფილოქსერა მძვინვარებს.

*** ტფილ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში პარასკევს, 23 ივლისს, შუადღისას, 12 საათზედ, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 5 ₀/₀-ანი მომგებიანი ბილეთები სამისავე შინაგანის სესხისა.

*** ტფ. სადამოუნო გამგეობამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ამიერკავკასიის რკინის გზათა გამგეობამ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს ეზოში გამართა ღუმელები (ფეჩები), რომელშიაც ჰყრიან დასაწვავად ყოველსავე ნაგავსა და უსუფთაობას, რის გამოც ისეთი სუნი დგება მთელს დიდუბესა და საავადმყოფოს მახლობლად, რომ მცხოვრებთ სული ესუთებათო. სადამოუნო გამგეობა სთხოვს ქალაქს, დანიშნოს კომისია და დაათვალიერებინოს ეს ღუმელებიო. ამ დღეებში ქალაქის გამგეობის წევრმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა, ქალაქის ინჟენერმა ი. კოგნოვიცკიმ და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ნ. გ. სტეფანოვმა დაათვალიერეს ხსენებულ საავადმყოფოს ეზოში ღუმელები და აღმოჩნდა, რომ მართლა ძლიერ ცუდს მდგომარეობაში იმყოფება; ამიტომ განკარგულება მოახდინეს, რომ რკინის გზათა გამგეობამ დაუყოვნებლივ აიღოს ეს ღუმელები და ახლად მოაწყოს ისეთი, რომ, თუ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაჩნდა, მცხოვრებთ ამ ღუმელების მხრივ არა ევნოს-რაო.

*** სოფ. ანაგაში (ქიზიყი) განზრახულია სასოფლო ქსენონის დაარსება.

*** როგორც «კავკაზს» აცნობებენ, ქალ. სოხუმში განუზრახავთ სასულიერო სასწავლებლის დაარსება.

*** ჭიათურის შტოზედ შავის ქვის მადნებთან მისადგომ გზებისა და სატეხნიკო ხატვა-ხაზვის გეგმათა შედგენა მიენდო გზათა ინჟენერს ი. ზ. ანდრონიკაშვილს.

*** 10 ივლისს სოფ. ლიხაურში (ოზურგეთის მაზრა) ცოფიანს მგელს დაუკბენია სამი კაცი. შემდეგ სოფლელები გამოსდგომიან მგელს და მოუკლავთ. დაკბენილნი ტფილისში გამოჰგზავნეს პასტერის ასაცრელ სადგურზედ.

*** უკანასკნელ კვირაში ტფ. სასანიტარო-სამკურნალო ინსპექციამ აღმოაჩინა შემდეგი შემთხვევანი სხვა და სხვა ავადმყოფობისა: ყელ-ჭირვებითა და ყალათმით (სკარლატინა) ავად გამხდარა 4 კაცი, ყივანა ხველით—3, ხოლო წითელათი და საოფლით—თითო კაცი.

*** როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ქალაქის ყველა (ხუთს) ამბულატორიაში ივნისის განმავლობაში ყოფილა 5,631 ავადმყოფი, რომელნიც 13,522-ჯერ მისულან საავადმყოფოში; ამ თვის განმავლობაში ავადმყოფთათვის საქალაქო აფთიაქიდან მიუციათ წამალი 14,130 რეცეპტით.

*** ტფ. საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქოძე უკვე დაბრუნდა ტფილისს ახალციხიდგან, სადაც მან სანიტარულად დაათვალიერა ახალციხე და მის მახლობლად მდებარე ადგილები და საჭირო განკარგულება მოახდინა. ქალაქი სასანიტარო უბნებად დაუყვიათ და მზრუნველები დაუნიშნავთ.

*** გორის მაზრის სოფ. ძეგვში, როგორც «ცნ. ფურც.»-ს სწერენ, ერთს ოჯახში აღმოჩენილა კეთროვანებით ავადმყოფი.

*** როგორც პალმის გაზეთს სწერენ, 4 ივლისს სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა ვიღაც ჩასაფრებულთ მოუკლავთ ნოსირის სოფლის საზოგადოების მწერალი ქაროველიშვილი, მკვლელის ვინაობა ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ.

*** ტფ. მიწის მზომელთა სასწავლებელში უკვე დამთავრდა პრაქტიკული მეცადინეობა გასათავემელს კლასში. ამ სასწავლებელში წელს კურსი გაათავა 18 კაცმა, მათ შორის 2 ქართველია: აბაშიძე და ეძგვერიძე.

*** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი ქართული წიგნები: 1) «ქნარი, ქართველ და უცხოელ პოეტთა რჩეული ლექსები»; (გვ. 96 ფასი ერთი აბაზი) 2) «ოჰ, მარგალიტავ»! და სხვა სასიმღერო ლექსები (გვ. 64, ფასი ორი შაური) და 3) «სალამური, სხვა და სხვა სასიმღერო ლექსები» (გვ. 64, ფასი ორი შაური). სამივე წიგნი შეუდგენია და გამოუცია ბ-ნს ს3. ჰელიძეს.

## საქართველოს ამბები

**კახეთი.** უმთავრესი მიზეზი ჩვენის ცხოვრების ჩამორჩენის არის უპირველეს ყოვლისა გონებრივი უსაზრდოვობა, უმოსავლობა და ახლა კიდევ ქირნახულის უფასობა. აბა, რა ფასია, საპალნე ღვინო, რომლის მოყვანაზე წლის წლობამდე დიდი ოფლი დაღვრილა და ტანჯვა-წვალებაა გამოვლილი, ახლა 30—50 და 60 მან. იყიდება. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ იყიდებოდეს, თორემ სავალალო ის არის, რომ ნახევარ ფასი აძევს და მყიდველიც არავინაა. ბევრნი—უფრო მსხვილი მემამულენი—მით უფრო სცდილობენ გაყიდონ, რომ შემოდგომის მოსავლისთვის ჭურჭელი მოსცალონ.

წლევანდელ მოსავალს, საბედნიეროდ, ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. სეტყვამ წელს თითქოს თავი გვანება, თუ არ ჩავთვლით რამდენსამე სოფელს, რომლის ნაწილები შესამჩნევად დაზარალა. ვაზიც საღია და ყურძენიც ბლომად გამოიტანა (ზოგიერთ სოფლებში კი ზამთრის სიცივემ ვაზი დააზარალა—გაახმო). ამით წახალისებული გლეხი კაცი გულმოდგინედ უვლის ვენახს, ისე უვლის, როგორც თავის მარჩენელს, შემნახველ პირმშო შვილს. გაკეთების გარდა, შაბიამანს არ აკლებს და გოგირდის შესაყრელი საბერველი ყოველთვის ხელში უჭირავს; მისი შებერვა კი სააქაოს სატანჯველია. მხოლოდ იმას შეუძლიან გაიგოს, რა ძნელია შებერვა გოგირდისა და შეყრა, ვინც თითონ იმუშავებს ან მომუშავესთან ახლო იქმნება, როცა გოგირდით თავ-პირი აევსება და თვალები დაეწვება.

პურის მოსავალს ყველგან აქებენ. აგრეთვე სიმინდისას, მხოლოდ ამ უკანასკნელ ორ კვირას გოლვა დაუგა. ეხლა წვიმა მოუხდება. ქერი გაღმა, ე. ი. ალაზნის მარცხენა მხარეს, გაიჭრა და მალე ლეწვას შეუდგებიან.

შიდა კახელი.

**თელავი.** თელავს, როგორც საავარაკო ადგილს, სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. მოვიდნენ მოაგარაკენი, თუმცა წელს ნაკლებად სჩანან და დაბრუნდნენ სხვა და სხვა მხრიდამ მოსწავლე ახალგაზრდობა. ახმაურდა თელავი და ეს დაეტყო უფრო თელავის მტვრიან ბაღს და კლუბს. ბაღში სეირნობენ, ფეხებს კოჭამდე მტვერში ურევენ და კაბის აყენებულ მტვერს თვითვე ჰყლაპავენ, მაგრამ მაინც სეირნობენ, ხოლო კლუბში ცეკვაობენ.

შიდა კახელი.

**დ. სამტრედია.** აქაური უპირველესი მოსავალი იყო სიმინდი, რომელიც მშრომელ ხალხს ზოგიერთ მოთხოვნილებას უკმაყოფილებდა, მაგრამ რამდენიმე წელია სიმინდის მოსავალმა თან და თან იკლო. ეს ორი წელია, მარცვალს პეპელიც უჩნდება. სიმინდის წარმოება აქ ყოველ მხრივ დაეცა. იყო დრო, რომ დღეში რამდენიმე ვაგონი სიმინდი იტვირთებოდა და იგზავნებოდა სხვა და სხვა ქვეყანაში. ახლა ჩვენ თვითონ ვყიდულობთ ნახევარზედ მეტს სარჩო სიმინდს, სხვა და სხვა ქალაქებიდგან შემოტანილს ძვირ ფასად, ფუთს 80 კაპ. და მეტადაც. სამწუხარო კიდევ ისაა, რომ მუდმივის გვალვების გამო მოსავალსაც გლახა პირი უჩანს. სწორედ ორი თვე იქმნება, რომ აქ სასარგებლო წვიმა არ მოსულა. აბრეშუმის ხილი დიდი ნუგეში იყო აქაურებისთვის, მაგრამ წელს კი ორივემ უნუგეშოდ დასტოვა ყველა.

აქაურმა ჩარჩებმა ბევრი შეუმოწმებელი და უვარგისი ჭიის თესლი გაასაღეს და გლეხები ყიდვაშიც და გაყიდვაშიც წყალში ჩაჰყარეს. წელს აქ აბრეშუმის ფასი 10 მანეთიდან 11 მანეთამდის ავიდა. იმისთანა ოჯახი არ ყოფილა, რომ თუთის ფოთოლი არ ეყიდოს, უზომო შრომა არ მიეღოს და ბოლოს ცარიელი არ დარჩენილიყოს. ადვილად მიხვდებით, თუ რამდენი ზარალი მისცემია წელს საზოგადოებას ჩარჩ-ვაჭრების წყალობით. ხილი ხომ მებაყლეს და მეხილეებს ჩაუვარდათ ხელში და, როგორც უნდათ, ისე ატყავებენ გამყიდველებს.

ჯვარცხმული.

**ხარაგაული.** ამ ბოლოს დროს აქ დაიწყეს ამერიკის ვაზის გაშენება. მცხოვრებლები იწერენ ამერიკის ვაზს და ზედ მყნიან ჩვენებურ სხვა და სხვა ჯიშის ვენახის ლერწს; მაგალითად: კაბისტონისას, რკოსას, დოდლაბისას, კრახუნასას, ალექსანდრეულისას, ცოლიკოურისას და სხვ. მყნიან კიდევ ერთ გვარ ჯიშის ვაზს, რომლის ერთი დამყნილი ვაზი შარშან მანეთად იყიდებოდა, წრეულს კი—ათ შაურად, ამ ჯიშის ვაზზედ, ძირზე, საშუალოდ რომ ავიღოთ, ადის ფუთი ყურძენი. ამ ვაზის ყურძენი მოგაგონებთ განჯის ყურძენს, მაგრამ მთლად ამ უკანასკნელს არა ჰგავს, მტევანი უფრო დიდია განჯის ყურძნის მტევანზედ. მრგვალი და მსხვილი აქვს მარცვალი.

ღვინო წრეულს, წარსული ოთხი წლის შედარებით, იაფია. მაგალითად, შარშან რომ საპალნე ღვინოში გადაგახდევინებდნენ 30 მან., წრეულს შეგიძლიანთ იმისთანავე ღვინო იყიდოთ 15—20 მან.

ეს ოთხი წელიწადია, რაც აქაურმა მცხოვრებლებმა მოჰკიდეს ხელი აბრეშუმის მოყვანას, მაგრამ ამისი საქმე ვერ მიდის ხეირიანად. ჯერ ვერ შოულობენ ხეირიან თესლსა, მერმედ, როგორიც უნდა იშოვნონ, გამოტეხის დროს თესლს აფიცხებენ მზეში. აბრეშუმის «დაჯენის» დროს აქ შეერთდებიან ხოლმე სამი-ოთხი მოსახლე და ისე უვლიან ჭიებს. შეერთების მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთს მოსახლეს საკმაოდ არა აქვს თუთის ფოთოლი. ფოთოლის უქონლობამ დიდს გაჭირებაში ჩააყენა ხალხი. იმის გამო რომ საჭმელს საკმაოდ არ აძლევენ ხოლმე და სხვა გვარ მოუვლელობის გამო, ჭიები შეუდგებიან ხოლმე პარკის გაკეთებას, ოცდა მეთორმეტე დღის მაგივრათ, ორმოცდა მერვე დღეს.

ს. ხარაგოულში არსებობს სამი სკოლა: ორი ორ კლასიანი-ვაჟებისა და ერთი-ერთ კლასიანი-ქალებისა. 13 ივნისს აქ ყრილობა იყო ქალების ერთ კლასიან სასწავლებლის ორ კლასიანად გადაკეთების გამო. ყრილობაზე დაადგინეს სთხოვონ მთავრობას 950 მ. სახლის ასაშენებლად და მასწავლებლების ჯამაგირად ყოველ წელს. საზოგადოება კი აძლევს სკოლას ბიჭს, შეშას, ნავთს და ოთახებს მასწავლებლებისათვის.

რაც შეეხება ვაჟების ორ კლასიან სასწავლებლებს, ერთი მათგანი სამინისტროა და მეორე—სამრევლო, რომელიც ააშენა მღვდელმა რომანოზ დეკანოსიძემ თავის ხარჯით.

მგზავრელი.

### ახალ საფლავის წინაშე.

(წერილი რედაქციის მიმართ)

«გარდაცვალებულზე ან მხოლოდ კარგის თქმა უნდა, ან სულ არაფრისაო», ამბობს ქრისტეანულის სულგრძელობით სავსე ერთი წარმართული ანდაზა. რა კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთ ეხლანდელ ვაჟბატონებს, ქრისტეს სარწმუნოებით და ევროპიულის განათლებით მოამაყე ვაჟბატონებს, კარგად ესმოდეთ აზრი ამ ანდაზისა, გულის ფიცარზე ჰქონდეთ დაჭდეული და შესაფერ შემთხვევაში ხელმძღვანელობდნენ მით. მაშინ, ვინ მოსთვლის, რამდენ მართალსა და პატიოსან გარდაცვალებულს ასცდებოდა უსაფუძვლო ლანძღვა-თრევა, ბოროტი ცილის წამება! მაშინ ხომ უბედური ივ. დ—ძე სულხანიშვილიც გადაურჩებოდა ბევრს ისეთ სიტყვას, რომლის თქმასაც ძველი წარმართი რომაელი ქვეყნის მოღალატე ავაზაკზედაც კი არ იკადრებდა.

ამ თვის 7-ს „Новое Обозрѣніе“-მ დაბეჭდა გორიდან მიღებული ცნობა ივ. დ—ძის სულხანიშვილის მოკვლის შესახებ. ეს ცნობა თავიდან ბოლომდისინ უშვერის სიცრუით არის სავსე. ეჭვი არ უნდა, იგი დაწერილია ან გარდაცვალებულის დაუძინებელის მტრისაგან, ან მკვლელის მეგობარ-მახლობლისაგან. სიმართლის მოყვარე ავტორს ერთის მხრივ პატივცემული რუსული გაზეთი შეუყვანია შეცდომაში, ხოლო მეორეს მხრივ, ეჭვი არ უნდა, განზრახვა აქვს—შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებაც. სამწუხაროდ, მოტყუებულა დარბაისელი «ივერიაც» და არა დარბაისლურად, შენიშვნის მიუცემლად, გადმოუბეჭდია მოხსენებული გორული ცნობა თავის ფურცელზედაც *). დავყვეთ თავიდან ბოლომდისინ ამ ცნობას და სრულიად მიუფერებლივ გავარჩიოთ ყოველი მუხლი მისი. ცნობის ავტორი ბძანებს: «განსვენებულ სულხანიშვილს თავის სახლის წინ საელექტრონო სადგურის აშენება უნდოდაო». ტყუილია: არავითარი სადგურის აშენება სულხანიშვილს აღარ უნდოდა წელსა: მან ეს სადგური უკვე ააშენა და გაათავა სრულიად შარშან. ეს სადგური ამ ჟამადაც უნაკლულოდ მუშაობს, თავის დანიშნულებას სავსებით ასრულებს და, მაშ, რიღასთვის იქნებოდა საჭირო მეორე სადგურის აშენება? შემდეგ განაგრძობს ავტორი: «მის (სულ-შვილის) სახლის წინ, მაგრამ ეგაძის მამულში, პატარა სარწყავი რუა გაყვანილიო». აქ მართალი მხოლოდ ის არის, რომ სარწყავი პატარა რუ მართლა ჩამოდის სულხანიშვილის სახლის წინ, ხოლო მტკნარი სიცრუეა, ვითომც ამ სახლის წინ ეგაძის მამული იყვეს და ამ მამულში ჩამოდიოდეს მოხსენებული რუ. ეს რუ ჯერ მომდინარეობს ორივე მეზობლის საერთო მამულზედ; იმისი მარცხენა ნაპირი ეკუთვნის ეგაძეს, მარჯვენა—სულხანიშვილს. მერმე რუ დაუხვევს სამხრეთისაკენ და ამ მოსახვევიდან შედის სრულიად სულხანიშვილის მამულში, ჩადის ამის სახლის წინ, სადაც ამუშავებს ელექტრონის მაშინას, შემდეგ რწყავს ამისავე ხილის ბაღს და ბოლოს გადის სოფელში. სულხანიშვილის სახლს ყოველის მხრიდან მისივე საკუთარი ვენახი, ხილის ბაღი და ფართო კარ-მიდამო არტყია და, მაშ, საიდან გაჩნდა ამ სახლის წინ ეგაძის მამული, რომელზედაც, ვითომდა, მიმდინარეობს პატარა რუ? «სულხანიშვილს უნდოდა ამ პატარა რუს გადაგდებაო», ბძანებს იგივე ავტორი. უსაფუძვლო სიტყვებია! ელექტრონის სადგური დიდიხანია მკვიდრად არის ქვითკირით აშენებული... აქ დადგმული და მომართული ელექტრონის მანქანა ჩინებულად მუშაობს და, მაშ, რა საჭიროებისათვის უნდა ყოფილიყო გადაგდებული რუ? თუ მაინცა და მაინც საჭირო გახდა სხვა გვარი მიმართულება რუსი, საკუთარს მამულზედ ვინ დაუშლიდა ამის მოხდენას? ხომ ზემოდა ვთქვით, რომ მოხსენებული რუ რამდენისამე საჟენის სიგრძეზე მთლად ს—შვილის მამულზედ მოდის მეთქი... ამ სივრცეზედ სრულიად თავისუფლად მოხერხდებოდა შეცვლა რუს მიმდინარეობისა, მაგრამ, ვიმეორებ, სრულიად საჭირო არ იყო წყლის აქეთ-იქით გადაგდება; მოხსენებული რუ იმავე ძველ ადგილზე მოდის დღესაც, რომელზედაც მოდიოდა შარშან, შარშან წინ და მრავალ წლების წინათაც. «ნაშუადღევს სულხანიშვილი გამოსულა იმ ადგილზედ, სადაც უნდა აეგოთ სადგური ელექტრონისა», სწერს კვალად ეგაძის პატივისმცემელი. ეს ორი წინადადება სულ ცხრა სიტყვისაგან შესდგება, ამ ცხრაში ერთი სიტყვა რა არი, ერთი სიტყვაც კი არ არის საფუძვლიანი. სულხანიშვილი გამოვიდა სახლიდან დილის შვიდ საათზე, ბიჭს მიატანინა ბელტები და უბძანა მათი დაწყობა რუს მარჯვენა საკუთარ ნაპირზე და მისი გამაგრება. საქმე იმაში გახლავთ, რომ მარჯვენა ნაპირი რუსი დაბალია მარცხენაზე, ამის გამო წყალი ხშირად გადადიოდა ამ ნაპირზე, შედიოდა საბძელში და აქ ბზეს აფუჭებდა. განსვენებულმა განიზრახა ამ თავის ნაპირის ამაღლება, რაც არ ეპაშნიკა თურმე ბ-ნ ეგაძეს... ბიჭმა იწყო მუშაობა, ხოლო სულხანიშვილი გამოტრიალდა და გულ-დამშვიდებით წავიდა თვის საყვარელ, ნაამაგდარ სკოლისკენ. ამ დროს სახლიდან გამოვარდა ეგაძე, რომელსაც უკან ამოფარებული უქარქაშო, ამოღებული ხანჯალი ეჭირა ხელში; ფეხაკრეფით დაეწია უსინათლო მოხუცს (სულხანიშვილი იმდენად იყო მოკლებული მხედველობას, რომ უფრო მოსაზრებით დადიოდა, ვიდრე თვალების შემწეობით) და სამჯერ ჩაეკრა გულ-ღვიძლში გაალმასებული ხანჯალი. დაჭრილი დაეცა და იქვე განუტევა სული, ხოლო კაცის მკვლელი არხეინად გაბრუნდა და სისხლიანი ხანჯლის წმენდით წავიდა სახლისაკენ. ასეთი ჩვენება მისცეს ჯერ პოლიციის ბოქაულს და შემდეგ სასამართლოს გამომძიებელს გაბრიელ პოლმარდვინოვმა და ამისმა მოსამსახურე გოგომ... ესენი არიან ერთადერთი მოწამენი, საკუთარის თვალით მნახველნი საშინელის მკვლელობისა. საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო აქვე, რომ ხსენებული პოლმარდვინოვი დისწულია ეგაძისა, მაგრამ ამ ახლო ნათესაობამაც ვერ შეარყია მისი პატიოსანი სინიდისი და რაინდულის გულის წყრომით აღიარა, რაც ენახა თავის თვალითა.

ამ, ზემოთ ნათქვამ, სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ სულხანიშვილი გასულა რუს ნაპირას არა დასათვალიერებლად ელექტრონის სადგურის ასაგებ ადგილისა, არამედ გასამაგრებლად წყლისგან გაფუჭებულ თავის სამხრო ნაპირისა. ბიჭი, რომელიც ამაგრებდა ამ ნაპირს, ფიც ქვეშ მოწმობს, რომ არავითარი ლაპარაკი სულხანიშვილსა და ეგაძეს ერთმანეთში არა ჰქონიათო და, მაშ, საიდან შეთხზა, ანუ უკეთ, გამოსჭორა გორელმა ავტორმა—სულხანიშვილისა და ეგაძეს შორის, ვითომ და მომხდარი, ლაპარაკი, რომლის დროსაც უკანასკნელი ეძახის პირველს მტაცებელსა. ბოროტი ცილის წამებაა, ვითომც განსვენებულ სულ-შვილს ვისთვისმე რამე მოეტაცოს. მართალია, მამულის წარსატაცებლად მასზედ მისულ მტერს იგი მედგრად უხვდებოდა და ამ მამულიდან ერთ მტკაველსაც არავის ანებებდა, მაგრამ კაცთმოყვარეობისა და საზოგადო საქმისათვის კი არ ზოგავდა არც ქონებას და არც თავის, უკვე გატეხილს, მოხუცებულს ჯანსა და ღონეს. ამ ოცი, ოცდა ხუთის წლის წინად მან გაუმართა თავის სოფლის გლეხკაცებს პირველ დაწყებითი სკოლა, რომელსაც შესწირა კარგა მოზდილი ადგილი. მისის თაოსნობით აშენდა ამ ადგილზე სკოლის შენობა. რამდენისამე წლის შემდეგ, მისისავე მეცადინეობით, ამ სკოლასთან დაარსდა სამკლასიანი, მეორე ხარისხის სასწავლებელი, რომელსაც განსვენებულმა შესწირა იქვე სკოლასთან გაშენებული კარგი ვენახი და სამი-ოთხის დღის საუცხოვო მიწა, რომელზედაც ამ ჟამად სკოლის მოწაფენი აშენებენ ხილის ბაღსა. სულხანიშვილის აზრით და თაოსნობით შესდგა კომიტეტი, რომლის შრომითა და მეცადინეობით განახლდა რამდენიმე ძველი ისტორიული ნაშთი, შესანიშნავის ხუროთ მოძღვრების ტაძრები. მისისავე შემწეობით დაარსდა ს. ტირძნისში პურის მაღაზია. არა ერთხელ მინახავს ჩემის თვალით, რომ ამ მაღაზიაში შეუძლებელ ქვრივ-ობოლთა ხვედრი ჭირნახული შეუტანია განსვენებულს სულხანიშვილს. ამ ჟამად ტირძნისის გლეხობას ამ პურის მაღაზიის წყალობით სამას თუმნამდე ფული აქვს ხაზინაში შენახული. თორმეტი წელიწადი იყო იგი გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, და ამ დროს განმავლობაში საკუთარი ოჯახი, სახლ-კარი, მამული დავიწყებული ჰქონდა: მთელს თავის მეცადინეობას ახმარებდა საზოგადოების, ქვეყნის მოთხოვნილებას. ვინ მოსთვლის, რამდენ სწავლის მსურველ

*) რედაქცია აქ არაფერს შუაშია, გულთამხილაობა არ მოეთხოვება, სასამართლოს დანიშნულებას ვერ შეასრულებს. განაჩენი სას-მართლოსი და ხმა ერისა—აი საბოლოვო მარდამჭყვეტი ამა თუ იმ სადავო საქმისა. რედ.

ბავშვს გაეღო სკოლის დახშული კარი მისის დახმარებით!.. რამდენს ქვრივსა და ობოლს შეაშრო ცრემლი მწუხარებისა და გაჭირვებისა მისმა ჭკვიანურმა დარიგებამ, მისმა მამაშვილურმა შემწეობამ!..

არბთელი.

## თულაშვილების საგვარეულო სიგელი.

ვახტანგ დიმიტრის ძემ თულაშვილმა გადმოგვცა ეს სიგელი, ტყავზედ დაწერილი, თავ-ბოლო დაზიანებული.

„...ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შავაშენ და შარვაშენ და ყოვლისა ჩრდილოეთის აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით კელმწიფედ მქონებელ-მპყრობელმა, მეფეთ-მეფემან ბაგრატ... მოვიდეს წინაშე ჩვენსა... ტახტისა და გვირგვინის თავდადებით ნამსახური... თულაიძენი ივანე და მიქელ, შვილნი და მომავალნი სახლისა მათისანი... იაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულად ნამსახურითა მათითა სანაცვლოდ ვიქენით მოკითხული და ვიცანით მათი სახლისა ვითარება და ერთობ საპატო კაცი ყოფილიყო, და მისთანა სიგელი ქონებოდა და იმავე სიგლითა ჩვენ ახლაც დაუმტკიცეთ და გაუჩინეთ [1]) სრულ სისხი [2]) ასრე და ამა პირსა ზედა:

«ვისცა ეშმაკისა მანქანებისათვის თულასძე გვარის კაცი შემოაკუდეს, ასოცი ათას ძველ თეთრი კირმანაულ დაგევირებოდეს და გარდაიხადოს და თორმეტი ათასი სანახშიროდ დაევირებოდეს.

«თუ ვინმე ეკლესია [3]) გაუტეხოს და საფლავი გააუპატოს, თხუთმეტი ათას თეთრ დაევირებოდეს.

«ვინცა ცოლ წაგვიღოს და ანუ მოგიტაცოს, ნახევარ სისხლ დაგეუიროს.

«ვინცა დავას შეგასმინოს და შეგაბეზღოს, მესამედ სისხლ დაგეუიროს.

«ვინცა მართალსა... შემოკყივლოს, ნახევარ სისხლ...

«ვინცა ...ქალ დაგდოს, ნახევარ სისხლ დაგეუროს.

«ვინცა ქმარ-შვილ გიცეს და გაიუპატოს, მესამედი სისხლ დაგეიუროს.

«ვინცა ამა ექვსთა, ასოთაგან დაგიშაოს და ანუ ანაკიოს, მესამედი სისხილი [4]) დაგევიროს.

«ვინც ვინცა [5]) ზედა მოგიხდეს და ანუ დაგწვას, ორმოცი ათას თეთრ დაგევიროს.

«ვინცა ჯოგი გაგიტეხოს, ოცი ათას თეთრს დაგვიროს.

«ვინცა მოახლე და ანუ სებფექალ [6]) და ანუ მეჯინიბე და ანუ მწყემის გიცეს და გაგიუპატოს, თუთხმეტ ათას თეთრ დაგევიროს.

«ვინცა დაღი დაგასვას, ოცი ათას თეთრ დაგევიროს.

«ვინცა გერში გადინოს, საგერჩო დაგევიროს.

«სხუა გინდარა უპატობა დაგემართოს, დაიდევით ესე სიგელი; რაცა ამა სიგელმან გაგიჩინოს, ისრე დაგეურებოდეს. სხვა სრული სისხილი მეფეთ მეფეთაგან განჩენილ ასოცი-ათას ძველ თეთრ კირმანაულ [7]) დაგვირებოდეს და სანახშიროდ [8]) თორმეტი ათასისა. აგრეთვე რაც ამაშიდა სწერია, ისრე დაგევირებოდეს.

«ესე ჩვენგან ბოძებულ ბრძანება თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ ქართლისა ქათალიკოზო, აფხაზეთის ქათალიკოზო, ქუთათის ქუთათელო, გელათის გელათელო, სამცხის აწყვერელო, ოდიშს მოქვის მოქველო, ბედიას ბედიელო, ცაიშელო, დრანდელო, სვანეთს ცაგერელო, სხუანო სარჯულმდებელო და სჯულის განმამაგრებელო ეპისკოპოზნო, მოძღვარო, მღრდელო და დიაკონო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ; სხვანო დიდისა და ღვთივ დამყარებულისა ტახტისა და გვირგვინისა მეფობისა განმამაგრებელო ერისთავთ-ერისთაო, მანდატურთ-უხუცესო დადიანო, და მისსპასალარო (ამირსპასალარო!), ათაბაგო, და სუანთ ერისაო, გურიელო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ; სხვანო სახლისა ჩვენისა დარბაისელნო, ამირეჯიბო... ამილახორო, ციხისთავო, სახლის უხუცესო თქვენცა ასე დაუმტკიცეთ; სხვანო მოლარეო..., მოლარეთ უხუცესო, მესთუმრეო, ბოქულნო..., მეაბჯრეთ უხუცესო, მეაბრამედო... მესუფრეო, მენადირენო, მაზარეულნო, მუქიფენო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ...»

ბოლო მთლად გადალეული, თუმცა სჩანს, რომ აქ ყოფილა ხელმოწერა მეფისა და ზემორე ხსენებულ თავკაცებისა.

სიგელში მოხსენებული ბაგრატ არის ბაგრატ დიდი (1360—1395), რომელსაც ჯერ ისევ ემორჩილებოდნენ დადიანი, გურიელი, შარვაშიძე, გელოვანი და ათაბაგიც.

ამგვარი მრავალ მნიშვნელოვანი სიგელები შეიქმნენ მასალად ქართულ სამართლისა, ძეგლის-წერისა, სჯულდებისა.

მ. ჯანაშვილი.

---

[1]) და არა „გავუჩინეთ", „დავუმტკიცეთ", „ვ" არ სჩანს.

[2]) სისხი—სვან. ზისხ—სისხლი.

[3]) არსად ე კ კ ლ ე ს ი ა, ყველგან ე კ ლ ე ს ი ა იწერება.

[4]) შეადარე შენ. მე-2-რე.

[5]) ვინცა-ვინცა-ვინცა-ვინ.

[6]) სებფექალ—სვან. სეფკალ-სეფე ქალი.

[7]) კირმანაული ანუ კირმანეული ვერცხლის ფული (თეთრი) ბერძენთ მეფის კირ-მანუელისა (მე-XII საუკ.) კარმანეულს შემდეგ დაერქვა უზალთუნი (10 კაპეიკი).

[8]) ამ სიტყვის განმარტება იხ. ნ. ურბნელის „ძეგლის-წერაში".

# რუსეთი

## მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლა.

მოსკოვის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლის ამბავი. 15 ივლისს, 9 საათსა და 50 წუთზედ მოჰკლა ბოროტ-მოქმედმა, რომლის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული, შინაგან საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვ. კ. ფონ-პლევე. მინისტრი მიდიოდა თავდახურულის ეტლით ბალტიის რკინის გზის ვაგზალზედ პეტერბურგში და იქიდან უნდა გამგზავრებულიყო კრასნოე სელოს პირ-და-პირ ხელმწიფესთან. როცა ეტლი მინისტრისა დაუმხარდამხარდა «ვარშავის სასტუმროს» მისავალ სადარბაზო კარებს, იქიდან უცებ გამოვარდა ყმაწვილი კაცი, 23—24 წლისა (ზოგის აზრით, 27—28 წლისა), რომელსაც რკინის გზის აგენტის ქუდი ეხურა; ხელში ეჭირა ყუმბარა, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ ყუმბარა იყო. იქვე მჯდომ ვაჭარ დედაკაცს კომბოსტოს თავი ეგონა. ყმაწვილი კაცი ისარივით გაჰქანდა ეტლისაკენ და ჩააგდო ქვეშ ყუმბარა. გაისმა საშინელი ხმა აფეთქებისა. სასტუმროს ხუთსართულიან სახლში ფანჯრების შუშები სულ დალეწა, ისეთი ძალა ჰქონდა ყუმბარის აფეთქებას. ლაიმსხვრა შუშა ვაგზლის უშველებელს ფანჯარაშიაც. იქვე ქუჩაში მყოფი პოლიცია და ხალხი მივარდა იმ ადგილს, საცა აფეთქდა ყუმბარა და საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალ-წინ. მინისტრი მოკლული დაუხვდათ. თავი და ყბა გახეთქილი ჰქონდა, გული ჩანგრეული და მუნდირი სულ შემოგლეჯილი. განსვენებული წამოწოლილივით იყო, სისხლი თქრიალით სდიოდა და გარშემო დაგროვილი იყო ნაფოტებათქცეული ეტლის ნამტვრევები. ჩასაჯდომი ეტლისა სულ დალეწილი იყო, ღერძი-ღა გადარჩენილიყო და ამ ღერძს მიაქანებდნენ დაჭრილი ცხენები, ვიდრე არ შეაყენეს ქუჩაში მყოფებმა. მძიმედ იყო დაჭრილი მეეტლეც, რომელიც კოფოდან გადმოვარდნილიყო, ვოჟებში გაბანდულიყო და იმასაც ცხენები მიათრევდნენ. მეეტლე მალე გარდაიცვალა. მკვლელი მაშინვე შეიპყრეს, რადგან ერთ-ერთმა გამვლელმა შეატყობინა პოლიციას, ყუმბარის მსროლელი ესა და ეს არისო. დამნაშავე გამოტყდა, მე ავაფეთქე ყუმბარაო. ისიც დაჭრილი იყო ძალზედ და ამიტომ მაშინვე ქსენონში წაიყვანეს. გასინჯეს აქ და აღმოჩნდა, რომ პირისახეში და ფეხებში იყო დაჭრილი. ყუმბარის ნატეხებს პატარა მუცელი გამოეგლიჯათ და შიგანური დაეზიანებინათ. დამნაშავე არას ამბობდა და მხოლოდ ჰკვნესოდა. ნაშუადღევის 3 საათზედ დაუწყეს ამოღება ყუმბარის ნატეხებსა. აფეთქებას მარტო მინისტრისა და მეეტლეს სიკვდილი არ მოჰყვა. ყუმბარის ნატეხებით დაიჭრა ქუჩაში ამ დროს ეტლით მიმავალი კაპიტანი ცვეცინსკი. ნატეხი მოჰხვდა თავში და საშინლად დაუზიანა თავის ქალა. ნახევარ-გზა ქსენონამდე ფეხით გაიარა, ქსენონში რომ მიიყვანეს უამბობდა ყველას, როგორ მოჰხდა ეს ამბავიო, მაგრამ მალე ცნობა დაჰკარგა. გაუკეთეს ტრეპანაცია თავის ქალისა ორ ალაგას. მისი მდგომარეობა საშიშია. დაიჭრა კიდევ ერთი გლეხ-კაცი და მისი პატარა შვილი. მინისტრის გვამი მის სახლში გადაასვენეს. ვაგზალზე საჩქაროდ გადაიხადეს პანაშვიდი. მინისტრის სახლობა სწორედ წინა დღეს წასულიყო სოფლად. დამნაშავე შესულიყო სასტუმროში, ჩაი და არაყი მოეთხოვა, მერე უცებ წამომხტარიყო და გავარდნილიყო გარედ. არ გაიარა სულ რამდენმა წამმა და გაისმა აფეთქების ხმაცა. ჯიბეში რევოლვერი უნახეს. ალბად თავის მოკვლა თუ უნდოდა, ან ფიქრობდა, თუ ყუმბარამ არ იფეთქა, რევოლვერს ვესვრიო. დამნაშავე ქერაკაცია, მაღალ-მაღალი. ამბობენ, რომ სულ დაიჭრა იმ დღეს 18 კაცამდეო.

# ნარკვევი

ჟურნალ «ვესტნიკ პრავას» უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი ვორონოვსკისა გლეხ-კაცთა საზოგადოების მოწყობის შესახებ. პროექტი ამ მოწყობისა უკვე დაიბეჭდა სარედაქციო კომისიის მიერ და აი ამ პროექტს არჩევს ზემოხსენებული ავტორი.

ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა,—ამბობს წერილის დამწერი,—რომ წოდებრივი მოწყობა სოფლის საზოგადოებათა მკვდარი ფორმაა საზოგადოებრივის მეურნეობის ყოველის საქმისათვის. გლეხკაცთა საზოგადოებამ, როგორც თვით-მმართველობის ორგანომ, სრულიად ვერა გააკეთა-რა სოფლის ცხოვრების განვითარებისა და მოწყობისათვის. უკეთუ იგის, რომ, თუ კეთდებოდა რამ ამ მხრივ, კეთდებოდა არა წოდებრივის სასოფლო საზოგადოების წყალობით, არამედ საუფლისთაო ერობის ხელით. რაც უარ-ჰყო თვით ცხოვრებამ, იმას ვეღარა გადაახალისებს-რა.

გლეხ-კაცობაში საზოგადო ინტერესებს სთრგუნავს და ჰკლავს არა საადგილ-მამულო ინტერესები, არამედ წოდებრივობა სასოფლო საზოგადოების ორგანიზაციისა. ამ ორგანიზაციის დროს ძლივს ღონდიდობს სასოფლო მეურნეობა, სოლო სრულიად იხაკრება საზოგადოებური თაოსნობა.

ამასობაში გლეხ-კაცობაც იღვიძებს ჯანებრივად და საერთო-საკაცობრივო ინტერესები აღარ ეუცხოვება, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა მათ დასაკმაყოფილებლად იმ შეხუთულ ჭურში, რომელსაც სოფლის საზოგადოება ეწოდება. ამისთანა გარემოებაში წოდებრივის კავშირ-ამხანაგობით აღარ შეიძლება დაკმაყოფილება სოფლის ცხოვრების საზოგადო მოთხოვნილებათა. სოფლის საზოგადოებას არ ძალუძს შეჰქმნას არც წოდებრივი მეურნეობა, არც წოდებრივი ცეცხლის საქრობი და არც სხვა რამ საზოგადოდ სასარგებლო დაწესებულება წოდებრივის ხასიათისა.

სოფლის საზოგადოებანი იხდიან რუსეთის 50 გუბერნიაში 62 მილიონამდე ფულს საერთო საჭიროებისათვის და აქედან ნახევარზედ მეტი მიდის სავალდებულო ხარჯების გასწორებად და გამგებლობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ 8%-ი იხარჯებოდა საერო განათლებისათვის და 2 %-ი სხვა საერთო სასარგებლო საქმეთათვის. ერობა-კი ათჯერ მეტსაც ჰხარჯავს სასოფლო საქმეებზედ, ვიდრე თვით სოფლის საზოგადოებანი. თუ რამ კეთდება ამ მხრივ სასარგებლო სოფლის ცხოვრებისათვის, კეთდება იმავე ერობის შემწეობით, რომელსაც წოდებრივი ხასიათი არა აქვს.

რას იძლევა სოფლის ცხოვრებისათვის ახალი პროექტი? პროექტი აცალკევებს და ინაპირებს დაბალ წოდებას, რათა მაღალ კულტურულ წოდება-ელემენტებს არავითარი ზედ-მოქმედება არა ჰქონდეს დაბალს წოდებაზედ, გლეხ-კაცობაზედ. ახალი პროექტი უფრო აფართოვებს წოდებრივს ორგანიზაციას საადმინისტრაციო და საპოლიციო მიმართულების მხრივ. მაგრამ შეუძლებელია განგებ დახშობა და დაკეტვა სოფლის ცხოვრებისა. სოფლის ხალხიც წინ მიდის, ეღვიძება საზოგადოებრივი ინსტინქტები და ამ ინსტინქტებს თავის დროზედ უნდა მიეცეს წესიერი, კანონიერი გზა დაკმაყოფილებისა.

# თეატრი და ხელოვნება

**ხონი.** 4 ივლისს აქ წარმოადგინეს ქუთაისის სცენის მოყვარულებმა „ფული და ხარისხი" აზიანისა და „ძუნწი" გ. ერისთავისა. წარმოდგენამ უგემურად ჩაიარა, მხოლოდ თითო-ოროლამ იცოდა როლი და ითამაშა რიგიანად. წელიწადში ერთხელ-ორჯელ გვეღირსება წარმოდგენა და მაშინაც ასე უხეირიად გამართული. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ წარმოდგენა არ იზიდავს ხალხს. სულ რაღაც 70 მან. შემოვიდა. ამავე დროს ცირკი ხალხით ივსება, მეტადრე ვაჭრებით, და ცირკს შემოსავალიც 300—400 მანეთობითა აქვს.

დამსწრე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ივლისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 18 ივლისით: «სამხრეთის ფრონტზე მარცხენა მოწინავე რაზმი მედგარის ბრძოლის შემდეგ სოფელ სანჩენცთან გაბრუნდა და გამოიცვალა ორი პოზიცია ხაიჩენისაკენ. მარჯვენა არიერგარდზე, რკინის გზის ორთავ მხარეს ვინციაგოუსთან და ბილუსთან მტერს იერიში არ მიუტანია, ესროდა მხოლოდ ზარბაზნებს. 6 საათზე და 45 წამზე საღამოთი 18 ივლისს, როგორც სიმუჩენიდან იტყობინებიან, სადაც ეს რაზმი მოქმედებს, იქ ომი შესწყდაო და ყველა ჩვენი პოზიციები შევინარჩუნეთო, მაგრამ რა მოხდა მარცხენა ფრთისაკენ, ჯერ ცნობა არა გვაქვს. აღმოსავლეთ ლაშქარში გენერალი გრაფი კელლერი რომელმაც თვალ-ყურის დასაჭერად აირჩია ის ბატარეია, სადაც უფრო მეტად ესროდნენ, სამ საათზე დღისით სასიკვდილოდ დაიჭრა და 20 წამის შემდეგ გარდაიცვალა. საიმაძ-ლიაოიანისაკენ, როგორც ეტყობა, იაპონელნი დიდს ჯარს აგროვებენ. 18 ივლისს აქ მომხდარ ბრძოლის ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ჩვენი ჯარები დარჩნენ თავის პოზიციებზე."

**ბათომი.** აქ მოსულ გემ «გამისტედზე» 18 მეზღვაური აღმოჩნდა მონგოლის ტომისა. სამს იმათგანს, რომელთაც ჩინელებად მოაქვთ თავი, ნაწნავები არა აქვთ და იაპონელებს მიაგვანან. სასტიკი ყურადღებაა მიქცეული.

**პოტსდამი.** პრინცი ფრიდრიხ-ლეოპოლდი დანიშნეს რუსეთის უმთავრეს სადგომში სამყოფად, ხოლო პრინცი კარლანტონ ჰოგენცოლერნი იაპონიის უმთავრეს სადგომში.

**კოპენჰაგენი.** კერძო ფლოტის სათარეშო გემებმა «დონ»-მა და «ორიოლ» მა და ორმა ნაღმოსანმა ღამით აუარეს ფრედერიკსგაფენსა. ნაღმოსნები შემოტრიალდნენ უკან სკაგენთან და წავიდნენ ერეზუნდს, სათარეშო გემებმა კი განაგრძეს გზა.

**ჩიფუ.** როგორც პორტ-არტურის მიდამოებიდან გამოქცეულნი ჩინელნი იუწყებიან, საერთო იერიში მთლად მთელის ლაშქრისა უკვე იყო. მოჰხდა საშინელი ბრძოლა არტილერიისა. განუწყვეტლივ ისროდა 400 დიდი ზარბაზანი. ბრძოლა 13 ივლისს დაიწყო.

**ტოკიო** (რეიტერი). იაპონურს გაზეთებში დაბეჭდილია თარგმანი პასუხისა, რომელიც გაუგზავნა პორტ-არტურის გარნიზონის უფროსმა იაპონელებს, როცა იაპონელებმა შეუთვალეს—დაგვნებდითო. ამ პასუხიდან სჩანს, გარნიზონს ჰგონია, რომ რუსებისგან დაღუპულ ტრანსპორტებთან «ხიტაჩიმარუ» და «სადომარუ»-სთან ერთად დაიღუპა ოიამაც თავის შტაბით, აგრეთვე საალყე არტილერიაც. გარნიზონი უარს ჰყოფს კუროპატკინის დამარცხების ამბავსა.

**ლონდონი.** ოფიციალურად. მეფე ედუარდმა, როდესაც მიიღო შემაძრწუნებელი ამბავი მინისტრ პლევეს მოკვლისა, ხელმწიფე იმპერატორს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობის დეპეშა მისწერა.

**ბერლინი.** «ნორდდეიტშე ალგემეინე ცეიტუნგი» ამბობს, პლევეს სიკვდილმა ლიბერალურს და რადიკალურს მწერლობაში დაწვრილებითი მსჯელობა გამოიწვიაო. «რამდენჯერმე მოინდომეს ამ ავაზაკობისათვის მოენახათ რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, ჰქონდათ რა ამასთანავე თვალწინ უწინდელი შინაგანი მდგომარეობა რუსეთისა და განსვენებულის მოქმედებაც, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამაზე სიტყვაც არ ითქმის».

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა 16 ივლისით: «როგორც პორტ-არტურის ესკადრის უფროსი იუწყება, 3 ივლისს, ღამით, კვანტუნის ნაპირებთან მოთარეშე ნაღმოსანს შეხვდა გემი «ხიპსანგი», რომელიც იაპონელთაგან აღებულის ნავსადგურ ფუჩჯოუდან გამოვიდა. ნაღმოსანმა ათჯერ ესროლა «ხიფსანგს», მაგრამ არ გაჩერდა, თითონაც ესროლა და ცდილობდა ნისლის შემწეობით თავისთვის ეშველნა, ამიტომ გემი ნაღმით დაღუპა. პისაჟირები და მეზღვაურნი—6 ინგლისელი, 1 რუსი და 70 ჩინელი გადმოსხეს. ამათში 12 დაჭრილია სამკურნალოში. რამდენიმე კაცი გარდაიცვალა.

**მოლდე.** გერმანიის იმპერატორი ბერგენს წავიდა.

**ქრისტიანია.** როგორც კერძო დეპეშა იუწყება, ტრომზელმა კაპიტანმა იპოვა ბოთლი, რომელშიაც იყო წერილი ანდრეს პოლიარულ ექსპედიციისა. ბოთლი უპოვნია პატარა კუნძულთან ჩრდილოეთად შპიცბერგენიდან. წერილს აზის თარიღი 1898 წელი. წერილის დაწვრილებითი ამბავი მხოლოდ ერთის თვის შემდეგ მოვა.

**სტამბოლი.** პორტა ცდილობს, არ აღიძრას ლაპარაკი სრუტეების შესახებ და მიმართა რუსეთს შუამავლობით, თავიდან აიცდინოს ყველა ის, რაც გამოიწვევს პროტესტებს და პასუხებს იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც ხელი უწერიათ სრუტეების ხელ-შეკრულობაზე.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ დეპეშაში ჩიფუდან იყო: «იქ მიდის დღეში 22 ათასი ჯარის კაცი», უნდა იყოს: «იქ მიდის ყოველკვირა 22 ათასი ჯარის კაცი».

20 ივლისი.

**ტოკიო.** (რეიტერი). მთავრობამ გადასწყვიტა ინკოუ თავისუფალი იყოს გარეშე სახელმწიფოთა გემთათვის. ნებადართულია თავისუფალი გემთა ცურვა მხოლოდ იმ პირობით, რომ სასტიკად აკრძალულ იქმნება შემოტანა იმ საქონლისა, რომელიც რუსეთის სამხედრო საჭიროებ-სათვის იქმნება დანიშნული.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ნება დართო გაზეთ «ნოვოსტის» ცალკე ნომრების გასყიდვისა. —მართებლობის უწყება: ომის დაწყობიდანვე საიმპერატორო მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი, რომ სამხედრო კონტრაბანდა არ მიეტანათ იაპონიის ლაშქრისა და ფლოტისათვის სანეიტრალო ერთა გემებითა. უმაღლესად დამტკიცებულს 14 თებერვალს 1904 წ. წესდებაში, რომლითაც რუსეთი იხელმძღვანელებს ომის დროს იაპონიასთან, გამოცხადებული იყო სია იმ ნივთებისა, რომელიც ცნობილ უნდა ყოფილიყო სამხედრო კონტრაბანდად, აგრეთვე გამოცხადებული იყო, სამხედრო-საზღვაო მოხელეთ აღსრულებინათ ის განკარგულება, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ 27 მარტს 1895 წ. წესდებაში იყო აღნუსხული შესახებ გემების შეჩერებისა, გაშინჯვისა, შეპყრობისა და სხვანი. კერძო ფლოტის გემები „პეტერბურგი" და «სმოლენსკი», მიიღეს-რა სპეციალური მინდობილობა, ხელმძღვანელობდნენ ზემოდ დასახელებულის წესებითა და მეწამულს ზღვაზე ცურვის დროს აყენებდნენ და შინჯავდნენ ყველა წინ შემოყრილს სავაჭრო გემებსა. ამისაგამო «პეტერბურგის» კომანდირმაც შეაჩერა, სხვათა შორის, ინგლისის გემი «მალაკკა», რომლის კაპიტანმა არ წარუდგინა გემის საბუთები ტვირთის შესახებ, ამიტომ გემი შეიპყრეს და უნდა გაეგზავნილიყო იმპერატორ ალექსანდრე III, ნავთსადგურში, მაგრამ დიდბრიტანიის ოფიციალურის განცხადების გამო, რომ «მალაკკით» მიჰქონდათ ინგლისის სახაზინო ტვირთი, საიმპერატორო მთავრობამ ინგლისის, მთავრობასთან შეთანხმებით, განკარგულება მოახდინა ხელახლა გაეშინჯათ შეპყრობილი გემი ერთ ერთს მახლობელს ნავსადგურში ინგლისის კონსულის თანადასწრებითა. გაშინჯეს ალჟირში, ამ დროს ინგლისის მთავარმა კონსულმა ოფიციალურად დაამოწმა, რომ სამხედრო ტვირთი „მალაკკისა" შეადგენს ინგლისის მთავრობის საკუთრებას. სხვა ტვირთი კი სამხედრო კონტრაბანდს არ ეკუთვნის. ამისთანა დარწმუნების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ გადასწყვიტა გაათავისუფლოს ტვირთიც და გემიც. ეს გარდაწყვეტილება იმას არ ნიშნავს, რომ საიმპერატორო მთავრობა აღარ გაგზავნის რო-

გორც სათარეშო გემებსა, ისე კიდევ ყოველ ნაირ სამხერდო გემებსა. რათა შეაყენოს სამხედრო კონტრაბანდის მოტანა ჩვენს მტერთან.

**ბაქო.** სცხრება ცეცხლი ადამოვების ქარხნებში. ზარალი 300,000 მანათამდეა.

**კარლსბადი.** ამერიკის შტატების ელჩმა შესწყვიტა მკურნალობა წყლებზედ და პეტერბურგს გაემართა.

**ბელგრადი,** სერბიის მთავრობამ სამძიმარი შეუთვალა რუსეთის მთავრობას შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მოკვლის გამო.

**სოფია,** სავაჭრო სააგენტოს ცნობა ბელგრადიდგან, რომ ბოლგარიის მთავრობა არ მიიღო სერბიის სადიპლომატო აგენტი სიმიჩიო, საფუძველს მოკლებულია. მიღების თანხმობა დაუყოვნებლივ აცნობეს. სიმიჩი მოვა ზაფხულის გასულს. მართალი არ არის აგრეთვე ცნობა სერბიის გაზეთებისა ვითომ მაკედონიაში დიდი უწესოებანი მოჰხდაო და საჭირო შეიქმნა დიდის, ღონისძიების მიღება ასეთისა თუ ისეთის სიმშვიდის ჩამოგდებისათვისაო. თუმცა რამდენიმე ჯუფთი გაჩნდა, მაინც მცხოვრებნი ბევრს საჩივარს აძლევენ სამოქალაქო აგენტებს და ევროპიელ აფიცრებს და თხოულობს, გააძლიერეთ რიცხვი ევროპიელ აფიცრებისაო, სამოქალაქო აგენტებმა იყოლიონ თვისი წარმომადგენელნი თითოეულ სოფელში.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

16 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37.37½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92⅜ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 88⅞ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 390½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300¾ წვ. გაყ |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 260¼ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88⅛ წვ. გაყ. |

# განცხადებანი

**თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა** ამით, აცხადებს, რომ 1 ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სექტემბერს. (2—უ—).

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—11)




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

აცხადებს, რომ 28 მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (3—6—3).



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**В. М. МИРИМАНЯНЪ**

**Тифлисъ, Дворцовая ул.**

(25—6—5)

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინას სახურავებისთვის და იატაკებისთვის (**ДЛЯ ПОЛОВЪ**) ყველა ხაირს ფერს ზეთით გალესილს საღებავებს (**краски**). გპირდები ყველას ჩემ ხაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დავუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50%-ზეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—4)

**ურალა საჭიროა ოქრო და ბრილიანტი**

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნებ 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

# ი ა ფ ი გ ა რ ნ ი ტ უ რ ი

**მ ხ ო ლ ო დ 4 მ ა ნ. 45 კ ა პ. გ ა გ ზ ა ვ ნ ი თ**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კ ა ც ი ს ს ა ა თ ს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძ ე წ კ ვ ს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბ რ ე ლ ო კ ს, კ ო მ პ ა ს ს ან ბ ი ნ ო კ ლ ს ან ვ ე ნ ზ ე ლ ს, 4) ს ა წ ე რ ი ა რ ა ღ ს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მ ე შ ი ს კ ო ხ ტ ა ქ ი ს ა ს სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტ ყ ა ვ ი ს, პ ო რ ტ მ ო ნ ე ს ქ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава* 32/323

აზიის რუსეთში დ ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

Feriencolonien. Colonie des vacances

„პ ა ტ ა რ ა-ც ე მ ი“-ს

# საზაფხულო სამყოფი

## ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

# მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთა-ადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)